

შპს მედკაპიტალი

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. არებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	17
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	18
6. ამონაგები	20
7. სხვა ხარჯები	21
8. ძირითადი საშუალებები.....	21
9. საინვესტიციო ქონება	22
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	23
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	23
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	24
14. პირობითი ვალდებულებები.....	24
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24
მმართველობის ანგარიშგება	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მედკაპიტალის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მედკაპიტალის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ ვერ წარმოგვიდგინა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილ მიწა და შენობას შორის თვითღირებულების განაწილების გაანგარიშება საწყისი აღიარებისას. აღნიშნული მიწა და შენობის ისტორიული ღირებულება მონაწილეობს ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების ფორმირებაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია

	2023			2022		
	მიწა	შენობა	სულ	მიწა	შენობა	სულ
ძირითადი საშუალებები	410,188	1,551,942	1,962,130	410,188	1,633,623	2,043,811
საინვესტიციო ქონება	232,731	994,048	1,226,779	232,731	1,014,957	1,247,688
	642,920	2,545,989	3,188,909	642,919	2,648,580	3,291,499

შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, საინვესტიციო ქონებასთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებული გარემოებების ამსახველი აზრები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-6 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ კომპანიამ 2023 წელს აღიარა ამონაგების მოსალოდნელი შემცირება და დასაბრუნებელი სახელშეკრულებო ვალდებულება 1,333,489 ლარი. ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-14 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის კომპანიას აქვს დავა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და საგადასახადო ორგანოსთან. თანხის საერთო ოდენობა, რომელსაც დავის მხარე მოითხოვს და რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს პირობით ვალდებულებას შეადგენს 5,828,000 ლარს სოციალურ სააგენტოსთან დავიდან და 994,000 ლარს საგადასახადო დავიდან. ჯამურად პირობითი ვალდებულება სასამართლო დავიდან შეადგენს 6,822,000 ლარს. ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეტავალყურობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგენსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეტავალყურობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეტავალყურობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეტავალყურობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტი“ - ს სახელით

თბილისი, საქართველო

16 მაისი, 2024

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მედეაპიტალის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მედეაპიტალის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ ვერ წარმოგვიდგინა ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილ მიწა და შენობას შორის თვითღირებულების განაწილების განგარიშება საწყისი აღიარებისას. აღნიშნული მიწა და შენობის ისტორიული ღირებულება მონაწილეობს ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების ფორმირებაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია

	2023			2022		
	მიწა	შენობა	სულ	მიწა	შენობა	სულ
ძირითადი საშუალებები	410,188	1,551,942	1,962,130	410,188	1,633,623	2,043,811
საინვესტიციო ქონება	232,731	994,048	1,226,779	232,731	1,014,957	1,247,688
	642,920	2,545,989	3,188,909	642,919	2,648,580	3,291,499

შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, საინვესტიციო ქონებასთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებული გარემოებების ამსახველი აზრები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-6 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ კომპანიამ 2023 წელს აღიარა ამონაგების მოსალოდნელი შემცირება და დასაბრუნებელი სახელშეკრულებო ვალდებულება 1,333,489 ლარი. ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის კომპანიას აქვს დავა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და საგადასახადო ორგანოსთან. თანხის საერთო ოდენობა, რომელსაც დავის მხარე მოითხოვს და რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს პირობით ვალდებულებას შეადგენს 5,828,000 ლარს სოციალურ სააგენტოსთან დავიდან და 994,000 ლარს საგადასახადო დავიდან. ჯამურად პირობითი ვალდებულება სასამართლო დავიდან შეადგენს 6,822,000 ლარს. ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვექნა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საადრიცხო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგება და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტი“ - ს სახელით

თბილისი, საქართველო

16 მაისი, 2024

შპს „მედიკაპიტალი“

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	6	7,140,356	8,226,297
პერსონალის ხარჯები		(4,614,434)	(4,277,674)
მარაგების ხარჯი		(491,595)	(480,801)
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯები		(621,092)	(627,038)
სხვა ხარჯები	7	(904,028)	(570,431)
საოპერაციო მოგება		509,207	2,270,353
საპროცენტო შემოსავალი		188,983	86,686
წმინდა მოგება		698,190	2,357,039
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		698,190	2,357,039

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 16 მაისს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

ნინო კეკელიძე

შპს „მედეაპიტალი“

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	6	7,140,356	8,226,297
პერსონალის ხარჯები		(4,614,434)	(4,277,674)
მარაგების ხარჯი		(491,595)	(480,801)
ცვდის და ამორტიზაციის ხარჯები		(621,092)	(627,038)
სხვა ხარჯები	7	(904,028)	(570,431)
საოპერაციო მოგება		509,207	2,270,353
საპროცენტო შემოსავალი		188,983	86,686
წმინდა მოგება		698,190	2,357,039
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		698,190	2,357,039

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 16 მაისს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

ნინო კეკენაძე

Nino
Kekenadze
01010000486

Digitally signed
by Nino
Kekenadze
Date: 2024.05.16
11:52:59

შპს „მედიკაპიტალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	8,377,367	7,932,300
საინვესტიციო ქონება	9	4,459,096	4,489,274
არამატერიალური აქტივები		16,401	19,782
		12,852,864	12,441,356
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		96,311	82,015
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,370,016	890,756
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	3,330,086	1,986,286
		4,796,413	2,959,057
სულ აქტივები		17,649,277	15,400,413
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		15,595,898	14,897,708
		15,595,898	14,897,708
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2,053,379	502,705
		2,053,379	502,705
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,649,277	15,400,413

შპს „მედეკაპიტალი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება
2021 წლის 31 დეკემბერი	13,870,302
სრული შემოსავალი	2,357,039
მოგების განაწილება	(1,329,633)
2022 წლის 31 დეკემბერი	14,897,708
სრული შემოსავალი	698,190
2023 წლის 31 დეკემბერი	15,595,898

შპს „მედეკაპიტალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგრამდე		698,190	2,357,039
კორექტირებები:			
საპროცენტო შემოსავალი	6	(188,983)	(86,686)
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		29,129	-
საგადასახადო დავის ანარიცხის ხარჯი	14	122,788	-
ცვეთა და ამორტიზაცია	8;9	621,092	627,038
		1,282,216	2,897,391
ცვლილება სამუშაო კაპიტალში			
მარაგების ზრდა		(14,296)	(22,656)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(529,386)	450,923
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		1,419,119	(11,790)
		2,157,653	3,313,868
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტები		188,983	86,686
ძირითადი საშუალებების შეძენისთვის გასული თანხები		(1,002,836)	(1,151,430)
არამატერიალური აქტივების შეძენისთვის გასული თანხები		-	(15,264)
		(813,853)	(1,080,008)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
გაცემული დივიდენდები		-	(1,329,633)
		-	(1,329,633)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	11	1,343,800	904,227
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,986,286	1,082,059
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	11	3,330,086	1,986,286

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მედკაპიტალი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2007 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიამ აქტიური სამუშაოები დაიწყო 2012 წლიდან. კომპანიის იურიდიული მისამართია გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ილია ვეკუას ქ., N18, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო მომსახურების გაწევა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50-50% წილის მფლობელები არიან შპს ავერსი-ფარმა და შპს ჯი ემ ეს სი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50-50% წილის მფლობელები არიან შპს ავერსი-ფარმა და შპს სპკ ფარმა.

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

ბ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიწოდების ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

კომპანიის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები.

3.2 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სამედიცინო და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. ამონაგები სამედიცინო და სხვა დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში შესრულებული სამუშაოს გამოკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების საკონტრაქტო ღირებულების შეფასებისას, კომპანია წარსული გამოცდილების საფუძველზე ითვალისწინებს ანაზღაურების მოსალოდნელ კორექტირებას სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან მათ შორის შემოწმების შესაძლო შედეგებს, რომელსაც განიხილავს ცვლადი ანაზღაურების კომპონენტად.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიი არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები და ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 იჯარა

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს. კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი იჯარები.

3.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

მიწა	ცვეთა არ ერიცხება
მშენებარე აქტივები	ცვეთა არ ერიცხება
შენობა-ნაგებობები	30-50
სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	10-12
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	10-15
სხვა	10-15

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

3.7 საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს. საინვესტიციო ქონებას კომპანია აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა არ ერიცხება დაუსრულებელ მშენებლობასა და მიწას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვიებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლში.

3.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

3.9 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3.10 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

3.11 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“. მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სხვა ხარჯების მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.12 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.13 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

4.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.3 სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე, ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.4 სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ხელშეკრულებიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულების შეფასებისას, კომპანია წარსული გამოცდილების საფუძველზე ითვალისწინებს ანაზღაურების მოსალოდნელ კორექტირებას სოციალური მომსახურების სააგენტოს და სამედიცინო და ფარმაცეპტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მხრიდან. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: საკრედიტო რისკი; საპროცენტო რისკი; უცხოური ვალუტის რისკი; ლიკვიდურობის რისკი. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებს.

	2023	2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,280,445	779,574
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,330,086	1,986,286
სულ ფინანსური აქტივები	4,610,531	2,765,860
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,834,885	433,931
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,834,885	433,931

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიას ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის შიდა აუდიტორები დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ კომპანიის ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის. 2023 წლის 31 დეკემბერს კომპანიას აქვს ევროში დენომინირებული ფული და ფულის ეკვივალენტები საბალანსო ღირებულებით 238,024 ლარი (2022: 230,752 ლარი). საანგარიშგებო პერიოდის ბოლო კომპანიას არ აქვს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები.

კომპანიის მგრძნობელობა აშშ დოლარის ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 47,605 ლარს (2022: 46,150 ლარი). 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონიერულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიას არ გააჩნია მიღებული დაფინანსება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებლის დაფინანსების წყაროს, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

შპს „მედეაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	1,280,445	779,574
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	3,323,148	1,978,397
სულ	4,603,593	2,757,971

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანიის მიერ აღიარებული ფინანსური ვალდებულებები უტოლდება მომდევნო ერთ წელში გადასახდელ ფულად ნაკადებს. იხილეთ შენიშვნა 12.

6. ამონაგები

	2023	2022
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან	7,858,295	7,685,937
ამონაგები სხვა მომსახურებიდან	615,550	540,360
	8,473,845	8,226,297
აღიარებული ამონაგების შემცირება *	(1,333,489)	-
სულ	7,140,356	8,226,297

ცხრილი გვიჩვენებს ამონაგებს სამედიცინო მომსახურებიდან დაფინანსების წყაროების მიხედვით.

	2023	2022
სახელმწიფო პროგრამები	4,715,211	4,006,648
თვითღირებით მოსული პაციენტები	4,223,903	3,513,851
სხვა	252,670	165,438
	9,191,784	7,685,937
აღიარებული ამონაგების შემცირება *	(1,333,489)	-
	7,858,295	7,685,937

(*) 2023 წელს რეგულირების სააგენტოს მიერ შემოწმდა კომპანიის ერთ-ერთი კლინიკის 5 წლიანი პერიოდი. შემოწმების შედეგად კომპანიას დაეკისრა ამონაგების შემცირება ჯამურად 915,000 ლარი საიდანაც 507,000 წარმოადგენს ამონაგების გაუქმებას (ძირი თანხა), ხოლო 408,000 საჯარიმო თანხას. ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა წარსული გამოცდილება, შემოწმების შედეგები და გარემოებები და მიაჩნია, რომ კომპანია შეძლებს საჯარიმო თანხის (408,000 ლარი) გაუქმებას ან/და აღსრულების შეჩერებას სასამართლოს ან/და მოლაპარაკების საშუალებით, შესაბამისად აღნიშნული ნაწილი არ აღიარა როგორც ამონაგების შემცირება და დასაბრუნებელი სახელშეკრულებო ვალდებულება (შენიშვნა 12). ამონაგების შემცირების ძირი თანხა (507,000 ლარი) კომპანიამ 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში აღიარა, როგორც წინა წლებში აღიარებული ამონაგების შემცირება და დასაბრუნებელი სახელშეკრულებო ვალდებულება (შენიშვნა 12).

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგულირების სააგენტოს აქვს შესაძლებლობა შეამოწმოს საანგარიშგებო პერიოდი მომდევნო 5 წლის განმავლობაში. 2023 წლის შემოწმების შედეგებიდან და შემოწმების შედეგებთან მიმართებაში გამოყენებული დაშვებების საფუძველზე, ხელმძღვანელობამ შეაფასა მოსალოდნელი შემცირება შესამოწმებელი კლინიკების ბოლო 5 წლის აღიარებულ შემოსავალზე. ხელმძღვანელობის შეფასების, მოსალოდნელია, რომ კომპანიის ამონაგები შემცირდება ჯამურად 826,489 ლარით (წარმოადგენს შემცირებას გარდა ჯარიმის ნაწილისა). აღნიშნული თანხა კომპანიამ 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში აღიარა, როგორც წინა წლებში აღიარებული ამონაგების შემცირება და დასაბრუნებელი სახელშეკრულებო ვალდებულება (შენიშვნა 12). შეფასებითი ჯარიმის ნაწილი, რომელიც არ არის აღიარებული, როგორც ამონაგების შემცირება და დასაბრუნებელი სახელშეკრულებო ვალდებულება შეადგენს 665 ათას ლარს.

ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ შეფასებებში დასაბრუნებელი თანხის ამონაგებთან მიმართებაში 1%-იანი ცვლილების გავლენა მოგება ზარალზე შეადგენს ჯამურად 170,000 ლარს.

შპს „მედეაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. სხვა ხარჯები

	2023	2022
კომუნალური ხარჯი	(255,260)	(257,579)
საგადასახადო ხარჯი	(199,631)	(71,049)
ლაბორატორიის ხარჯები	(106,885)	(73,169)
პროფესიული სერვისები	(76,027)	(36,702)
სხვა ხარჯები	(266,225)	(131,932)
სულ	(904,028)	(570,431)

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	სამედიცინო დანადგარები	სხვა	სულ
31.12.2021	713,253	7,270,411	1,192,149	2,908,259	101,930	12,186,002
შემოსვლა	-	757,034	162,456	181,814	-	1,101,304
გადატანა საინვესტიციოში	(103,785)	(905,341)	-	-	-	(1,009,126)
31.12.2022	609,468	7,122,104	1,354,605	3,090,073	101,930	12,278,180
შემოსვლა	-	696,133	88,265	273,950	-	1,058,348
გასვლა	-	(37,994)	-	-	-	(37,994)
31.12.2023	609,468	7,780,243	1,442,870	3,364,023	101,930	13,298,534

დაგროვილი ცვეთა

31.12.2021	-	(1,810,090)	(663,885)	(1,423,546)	(50,102)	(3,947,623)
პერიოდის ცვეთა	-	(219,241)	(120,243)	(274,362)	(9,811)	(623,657)
გადატანა საინვესტიციოში	-	225,400	-	-	-	225,400
31.12.2022	-	(1,803,931)	(784,128)	(1,697,908)	(59,913)	(4,345,880)
პერიოდის ცვეთა	-	(236,319)	(108,146)	(229,876)	(9,811)	(584,152)
გასვლა	-	8,865	-	-	-	8,865
31.12.2023	-	(2,031,385)	(892,274)	(1,927,784)	(69,724)	(4,921,167)

საბალანსო ღირებულება

31.12.2022	609,468	5,318,173	570,477	1,392,165	42,017	7,932,300
31.12.2023	609,468	5,748,858	550,596	1,436,239	32,206	8,377,367

2022 წელს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება შესადარის პერიოდში ძირითად საშუალებებში წარდგენილი შენობის ვაკანტური ფართის გაქირავებასთან დაკავშირებით. შედეგად აღნიშნული ფართი რეკლასიფიცირდა საინვესტიციო ქონებად. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ფართი არ არის გაქირავებული.

შპს „მედეაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	სულ
31.12.2021	130,157	3,575,391	3,705,548
გადმოსვლა ძირითადი საშუალებიდან	103,785	905,341	1,009,126
31.12.2022	233,942	4,480,732	4,714,674
31.12.2023	233,942	4,480,732	4,714,674
დაგროვილი ცვეთა			
31.12.2021	-	-	-
გადმოსვლა ძირითადი საშუალებიდან	-	(225,400)	(225,400)
31.12.2022	-	(225,400)	(225,400)
პერიოდის ცვეთა	-	(30,178)	(30,178)
31.12.2023	-	(255,578)	(255,578)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2022	233,942	4,255,332	4,489,274
31.12.2023	233,942	4,225,154	4,459,096

საინვესტიციო ქონება მოიცავს თავისუფალ ფართს დიდუბის და გლდანის ფილიალში, რომელსაც არ ფლობენ მომავალში მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების სახით გამოყენების მიზნით.

საინვესტიციო ქონებების რეალური ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით შეადგენს 6,909,000, (2022: 6,947,000ლარს). ხელმძღვანელობის შეფასებით საინვესტიციო ქონება დანიშნულების, მასშტაბის და სხვა მახასიათებლების გამო სპეციფიკურია და რეალური ღირებულება განისაზღვრა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულება ფასდება აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე. გამოყენებულ შეფასების ტექნიკას აქვს მინიმუმ ერთი მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემი, შესაბამისად რეალური ღირებულება კლასიფიცირდება როგორც მე-3 დონე. შემდეგი ძირითადი დაშვებებია გამოყენებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშების პროცესში:

- საბაზრო ოპერაციებზე დაკვირვების საფუძველზე შეფასებული ფართის გაქირავების ფასი შეადგენს კვადრატულზე 10.77 აშშ დოლარს (დიდუბის ფართი) და 6.32 აშშ დოლარს (გლდანის ფართი) ყოველთვიურად გადასახადების გარეშე;
- ფართის გაქირავების დატვირთულობის მაჩვენებელი შეადგენს 90%-ს.
- მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოყენებულია კაპიტალიზაციის ნორმა 10%-ს;
- რემონტის დასრულების სავარაუდო პერიოდი 0.5 წელი, რაც გულისხმობს შავი კარკასიდან ექსპლოატაციის მდგომარეობამდე მიყვანის პერიოდს (დიდუბის ფართი);

რეალური ღირებულების შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებები ემყარება ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებს და წარმოადგენს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებას. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების გაანგარიშებაზე არსებით გავლენას ახდენს დატვირთულობის კოეფიციენტი, დისკონტირების განაკვეთი და გაქირავების ფასი. 1 ცვლადის 10%-იანი ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი, რეალური ღირებულებაზე გავლენას აქვს 645,000 ლარიდან 820,000 ლარამდე. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან გარკვეულ კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეტური დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს კომპანიის მოსაზრებას შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

შპს „მედკაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,321,346	819,862
სხვა მოთხოვნები	29,587	30,200
საექვო ვალების რეზერვი	(70,488)	(70,488)
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,280,445	779,574
სხვა ავანსები	89,571	111,182
სულ მოთხოვნები	1,370,016	890,756

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ფინანსური აქტივების კატეგორიებს და მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხს.

	2023		2022	
	მოთხოვნის ნაშთი	გაუფასურების რეზერვი	მოთხოვნის ნაშთი	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე მოთხოვნები გაუფასურების გარეშე:				
მოთხოვნები საყოველთაო დაზღვევიდან	1,072,782	-	646,032	-
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებიდან	54,133	-	95,070	-
მოთხოვნები გაუფასურების ანარიცხით:				
სხვა მოთხოვნები	224,018	(70,488)	108,960	(70,488)
სულ ვადაგადილებული და გაუფასურებული	1,350,933	(70,488)	850,062	(70,488)
გაუფასურების რეზერვი	(70,488)	-	(70,488)	-
წმინდა მოთხოვნები	1,280,445	(70,488)	779,574	(70,488)

კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია საქმიანობს. კომპანია არ აღიარებს დაკავშირებული მხარეების და საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში წარმოშობილ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რადგან კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული მოთხოვნების საკრედიტო გაუფასურების გამოცდილება.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2023	2022
ფული ბანკში	3,323,148	1,978,397
ფული სალაროში	6,938	7,889
სულ	3,330,086	1,986,286

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
დასაბრუნებელი სახელშეკრულებო ვალდებულება	1,333,489	-
გადასახდელი ხელფასები	380,888	340,529
სავაჭრო ვალდებულებები	120,508	93,402
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,834,885	433,931
საგადასახადო ვალდებულებები (შენიშვნა 14)	198,667	68,774
მიღებული ავანსები	19,827	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,053,379	502,705

შპს „მედეაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს და საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს. ცხრილი გვიჩვენებს ოპერაციებს და ნაშთებს დაკავშირებულ მხარეებთან.

	მფლობელები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	სულ
ნაშთები 31.12.2023			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,500	16,261	17,761
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,023	588	2,611
ოპერაციები 2023			
ამონაგები	4,661	114,194	118,855
მარაგების შესყიდვები	42,511	-	42,511
სხვა ხარჯები	-	95,093	95,093
ნაშთები 31.12.2022			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	95,070	95,070
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,030	2,388	6,418
ოპერაციები 2022			
ამონაგები	12,118	141,635	153,753
მარაგების შესყიდვები	39,579	-	39,579
სხვა ხარჯები	-	73,169	73,169

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 242,000 ლარს (2022: 220,000 ლარს).

14. პირობითი ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს არსებითი აუდიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებები.

დავა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან - ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის კომპანიას ჰქონდა დავა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან. დავა უკავშირდება საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში კომპანიის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებას. საჯარიმო თანხის საერთო ოდენობა, რომელსაც დავის მხარე მოითხოვს შეადგენს ჯამურად 5,828,000 ლარს. ხელმძღვანელობის შეფასებით უფრო მოსალოდნელია, რომ დავა დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ ვიდრე პირიქით. წარსული პრაქტიკის ნაკლებობის გამო დავის შედეგების საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი. აღნიშნულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო დავა - 2023 წელს საგადასახადო შემოწმების შედეგად კომპანიას დაეკისრა გადასახდელი თანხა ჯამურად 1,117,000 ლარი, რომელიც შედგება ძირისგან, ჯარიმისგან და საურავისგან შესაბამისად 524,000; 262,000 და 331,000 ლარისგან. კომპანიამ გაასაჩივრა აღნიშნულ გადაწყვეტილება. ხელმძღვანელობის შეფასებით უფრო მოსალოდნელია, რომ დავა დასრულდება კომპანიის სასარგებლოდ ვიდრე პირიქით. აღნიშნულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით კომპანიას 2023 მდგომარეობით აღიარებული აქვს ანარიცხი ჯამური თანხით 123,000 ლარი. ანარიცხის ვალდებულება წარდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში საგადასახადო ვალდებულებების ნაწილში, ხოლო ანარიცხის ხარჯი სხვა ხარჯების მუხლში საგადასახადო ხარჯების ნაწილში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საგადასახადო დავასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულება შეადგენს ჯამურად 994,000 ლარს.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გაანაწილა დივიდენდი ჯამურად 3,000,000 ლარი.

შპს „მედკაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

მმართველობის ანგარიშგება

სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს „მედკაპიტალი“-მა ფუნქციონირება დაიწყო 2012 წელს და დღემდე განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ბაზარზე წარმატებით დაიმკვიდრა ერთ-ერთი საუკეთესო ხარისხის სამედიცინო მომსახურების დაწესებულების სახელი. ვაცნობიერებთ რა უდიდეს პასუხისმგებლობას ქვეყნის კანონმდებლობის წინაშე, ასევე ერთგულებას ჩვენი პაციენტების მიმართ, ჩვენი მისიაა მომხმარებელს შევთავაზოთ საუკეთესო სამედიცინო მომსახურება.

შპს „მედკაპიტალი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2007 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიამ აქტიური სამუშაოები დაიწყო 2012 წლიდან. კომპანიის იურიდიული მისამართია გლდან-ნაძალადევის რაიონი, ილია ვეკუას ქ., N18, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო მომსახურების გაწევა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50-50% წილის მფლობელები არიან შპს ავერსი-ფარმა და შპს ჯი ემ ეს სი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50-50% წილის მფლობელები არიან შპს ავერსი-ფარმა და შპს სპვ ფარმა.

ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ მომსახურების ეფექტურობის ზრდაზე, ვახორციელებთ რა ინვესტიციებს ახალი ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად, არსებულის მოდერნიზებისთვის და მომხმარებლებთან კეთილსინდისიერი და მათი მოთხოვნების მაქსიმალურად მოკლე დროში დაკმაყოფილების მიმართულებით.

ჩვენი პოლიტიკა დაფუძნებულია შემდეგ ღირებულებებზე:

პერსონალი -სამედიცინო მომსახურება, რასაც ემსახურება კომპანია, ხორციელდება ადამიანების, ჩვენი თანამშრომლების მიერ, ადამიანებისათვის - ჩვენი მომხმარებლებისთვის. კომპანიის წარმატებულ მუშაობაზე ყოველდღიურად ვზრუნავს ხუთასამდე თანამშრომელი.

მომსახურება - ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ვიცავთ ყველა პირობასა და მოთხოვნას, რაც განპირობებულია ბაზარზე მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებით, მოწინავე ტექნოლოგიური აღჭურვილობისა და სისტემების მეშვეობით;

კომპანიას დაგეგმილი აქვს:

1. ამბულატორიულ ბაზარზე გაფართოება.

2. ხარჯების ოპტიმიზაცია, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და თბილისის 4 რაიონში სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრის შეთავაზება.

იგეგმება დაწესებულების მოდერნიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომპანია განაგრძობს დაბალი საფასო პოლიტიკის შენარჩუნებას.

ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ

თანამშრომლების საერთო რაოდენობა – 419

მამაკაცი თანამშრომელი – 35 (8%)

ქალი თანამშრომელი – 284 (92%)


ინფორმაცია ფილიალების შესახებ

ამჟამად თბილისში შპს „მედკაპიტალი“ ფლობს 4 დაწესებულებას:

- მედკაპიტალი საბურთალო - თბილისი, გამრეკელის ქ. N19
- მედკაპიტალი სამგორი - თბილისი, მოსკოვის გამზირი, მე-4 კვ., მე-3 კორპ.
- მედკაპიტალი გლდან- თბილისი, ილია ვეკუას ქ. N18
- მედკაპიტალი დიდუბე - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N138

მათი მიზანია ქ. თბილისის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრის შეთავაზება.

ორგანიზაციული სტრუქტურა



კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კვლევა მიეხსიან სამუშაოები არ აქვს კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში.

აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური მაჩვენებლები

მაღალი ხარისხითა და მისაღები ფასების შენარჩუნდებით მომხმარებელი იღებს ხარისხიან ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას თბილისის მასშტაბით სხვადასხვა მისამართებზე.

შპს „მედეკაპიტალი“ და მისი დაწესებულებები საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის #359 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალი რისკის შემცველ სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტი“ გათვალისწინებულ საქმიანობას ეწევა.

- 1) მის: ქ. თბილისი, გლდანის რ-ნი, ილია ვეკუას ქ.#18 (გლდანი)
 - შეტყობინებები მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობაზე;
 - ზოგადი ქირურგია, ბავშვთა ქირურგია, ოფთალმოლოგია, ოტორინო-ლარინგოლოგია, ონკოლოგია ამბულატორიული, გინეკოლოგია ამბულატორიული, უროლოგია, სტომატოლოგია, ტრავმატოლოგია, ენდოსკოპია, დერმატო-ვენეროლოგია, სამედიცინო რადიოლოგია, იმუნოზაცია,
 - ლაბორატორია-კლინიკური დიაგნოსტიკა,
 - ბიოქიმიური დიაგნოსტიკა,
 - იმონულოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა
 - მოლეკულური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული სერვისი - ნიმუშის აღება სხვა დაწესებულებაში გაგზავნის მიზნით.
- 2) მის: ქ. თბილისი, გამრეკელის ქ.#19 (საბურთალო)
 - შეტყობინებები მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობაზე;

შპს „მედეკაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

- ქირურგია ამბულატორიული(ბავშვთა, მოზრდილთა), ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ონკოლოგია ამბულატორიული, გინეკოლოგია ამბულატორიული, გასტროენტეროლოგია, ანგიოლოგია, უროლოგია, ენდოსკოპია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია, სტომატოლოგია, დერმატო-ვენეროლოგია, სამედიცინო რადიოლოგია, იმუნოხაცია, ლაბორატორია-კლინიკური დიაგნოსტიკა
 - მოლეკულური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული სერვისი ნიმუშის აღება-სხვა დაწესებულებაში გაგზავნის მიზნით.
 - ბიოქიმიური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული სერვისი - ნიმუშის აღება სხვა დაწესებულებაში გაგზავნის მიზნით.
 - იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული სერვისი.
- 3) მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ.#138 (დიდუბე)
- შეტყობინებები მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობაზე:
 - ზოგადი ქირურგია,უროლოგია, ტრავმატოლოგია-ორთოპედია, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ონკოლოგია, მეანობა-გინეკოლოგია, დერმატო-ვენეროლოგია, ლაბორატორია-კლინიკური დიაგნოსტიკა, სამედიცინო რადიოლოგია, იმუნოხაცია.
 - მოლეკულური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული სერვისი - ნიმუშის აღება სხვა დაწესებულებაში გაგზავნის მიზნით.
 - ბიოქიმიური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული სერვისი ნიმუშის აღება - სხვა დაწესებულებაში გაგზავნის მიზნით.
 - იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული სერვისი.
- 4) მის: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. IV კვ. კორპ. #3 (სამგორი)
- შეტყობინებები მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობაზე:
 - ზოგადი ქირურგია ამბულატორიული (ბავშვთა და მოზრდილთა), ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ონკოლოგია, დერმატო-ვენეროლოგია, იმუნოხაცია, უროლოგია, გინეკოლოგია, ლაბორატორია-კლინიკური დიაგნოსტიკა.
 - მოლეკულური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული სერვისი - ნიმუშის აღება სხვა დაწესებულებაში გაგზავნის მიზნით.
 - ბიოქიმიური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული სერვისი ნიმუშის აღება - სხვა დაწესებულებაში გაგზავნის მიზნით.
 - იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული სერვისი.

ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ

მედეკაპიტალს საანგარიშგებო წლის მანძილზე არ განუხორციელებია წილის და აქციების შეძენა.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

1. 2023 წლის განმავლობაში შპს „მედეკაპიტალის“ და მისი დაწესებულებების სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალია 7.1 მლნ ლარზე მეტი, რაშიც დიდი წილია სახელმწიფო პროგრამების. კერძოდ, კომპანია ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებში და პირველივე დღიდან აქტიურად ახორციელებს მოსახლეობის მომსახურებას პროგრამის ფარგლებში.

2. შპს „მედეკაპიტალის“ აქტივების ჯამური ღირებულება 17,6 მლნ-ს აღემატება, რაც ცალსახად აღნიშნავს კომპანიის ზრუნვას პაციენტებზე, რათა მიაწოდოს მათ მაღალი ხარისხისა და თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი მომსახურება.

მომგებიანობის თვალსაზრისით, 2023 წლის განმავლობაში, შპს მედეკაპიტალის EBITDA-ს მარჟა შეადგენს 18.0 % ს, 2022 წლის მონაცემებით 35.9%-ს, რომელიც გამოითვლება წმინდა მოგებას დამატებული საპროცენტო ხარჯები, გადასახადები და ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯები - შეფარდებული ჯამურ სრულ შემოსავალთან. 2022 წლის მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც განაპირობა წინა წლებში აღიარებული ამონაგების შემცირებამ (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 6). აღნიშნული შემცირების ეფექტის გარეშე EBITDA-ს მარჟა შეადგენს 37%.

უკუგების თვალსაზრისით, კაპიტალთან (ROE: წმინდა მოგება შეფარდებული კაპიტალთან) მიმართებაში 2023 წელს შეადგენდა 4.5 %-ს, რაც 2022 წლის მონაცემებით შეადგენდა 15.8%-ს. 2022 წლის მონაცემებთან შედარებით

მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც განაპირობა წინა წლებში აღიარებული ამონაგების შემცირებამ (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 6). აღნიშნული შემცირების ეფექტის გარეშე ROE შეადგენს 13%.

უკუგება აქტივებზე (ROA - წმინდა მოგება შეფარდებული მთლიან აქტივებთან) 2023 წელს იყო – 4%, ხოლო 2022 წელს – 15.3%. 2022 წლის მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც განაპირობა წინა წლებში აღიარებული ამონაგების შემცირებამ (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 6). აღნიშნული შემცირების ეფექტის გარეშე ROA შეადგენს 12%.

მიმდინარე აქტივების ფარდობა, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებთან შეადგენს 2.34-ს. 2022 წელს იგივე მონაცემი იყო 5.89. შემცირება განაპირობა დასაბრუნებელი სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარებამ (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 6).

საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური კოეფიციენტები გაუარესებულია შესადარის მონაცემებთან მიმართებით, რაც მეტწილად განპირობებულია სააგენტოს მიერ ერთ-ერთი კლინიკის შემოწმებით და დაკისრებული სანქციით, დეტალურად იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე - 6 განმარტებითი შენიშვნა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ბიზნესი დიდ წილად არის დამოკიდებული სახელმწიფო პოლიტიკაზე. საანგარიშო წელს შემოსავლის უდიდესი ნაწილი მოდის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაზე. დაფინანსების ერთ წყაროზე ასეთი დოზით დამოკიდებულებას მიიჩნევს კლინიკა ერთ-ერთ პოტენციურ რისკად.

საოპერაციო ხასიათის რისკებიდან – რისკ ფაქტორს წარმოადგენს, სახელმწიფოს მიერ რეგულაციების ხშირი ცვლა.

ლარის კურსის ცვალებადობისა და შესაბამისად ინფლაციის რეალური მაჩვენებლის ზრდა, როგორც სამომხმარებლო ფასების ინდექსის, ისე მომწოდებლების ფასების ინდექსის მხრივ, იწვევს გაურკვევლობას და აქედან გამომდინარე რისკებს.

დამატებით რისკ ფაქტორებს მიეკუთვნება ასევე, პროფესიული საქმიანობისას წარმოშობილი დავები და ფინანსური სანქციები. კომპანიის ოპერირებას თან ახლავს რეპუტაციის რისკი, მაღალი დონის სამედიცინო პერსონალის დენადობის რისკი და მათი სწრაფად ჩანაცვლების შესაძლებლობის რისკი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის რაოდენობაზე.

აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს ასევე კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა. თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა. სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევის და რეაგირების პოლიტიკა. პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შესანარჩუნებლად. სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 16 მაისს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

ნინო კეკელიძე

შპს „მედეაპიტალი“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც განაპირობა წინა წლებში აღიარებული ამონაგების შემცირებამ (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 6). აღნიშნული შემცირების ეფექტის გარეშე ROE შეადგენს 13%.

უკუგება აქტივებზე (ROA - წმინდა მოგება შეფარდებული მთლიან აქტივებთან) 2023 წელს იყო - 4%, ხოლო 2022 წელს - 15.3%. 2022 წლის მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც განაპირობა წინა წლებში აღიარებული ამონაგების შემცირებამ (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 6). აღნიშნული შემცირების ეფექტის გარეშე ROA შეადგენს 12%.

მიმდინარე აქტივების ფარდობა, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებთან შეადგენს 2.34-ს, 2022 წელს იგივე მონაცემი იყო 5.89. შემცირება განაპირობა დასაბრუნებელი სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარებამ (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 6).

საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური კოეფიციენტები გაუარესებულია შესაძარის მონაცემებთან მიმართებით, რაც მეტწილად განპირობებულია სააგენტოს მიერ ერთ-ერთი კლინიკის შემოწმებით და დაცვისრებული სანქციით, დეტალურად იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე - 6 განმარტებითი შენიშვნა.

ბიზითადი რისკები და გაურკვევლობები

ზიზნესი დიდ წილად არის დამოკიდებული სახელმწიფო პოლიტიკაზე, საანგარიშო წელს შემოსავლის უდიდესი ნაწილი მოდის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაზე, დაფინანსების ერთ წყაროზე ასეთი დოზით დამოკიდებულებას მიიჩნევს კლინიკა ერთ-ერთ პოტენციურ რისკად.

საოპერაციო ხასიათის რისკებიდან - რისკ ფაქტორს წარმოადგენს, სახელმწიფოს მიერ რეგულაციების ხშირი ცვლა.

ლარის კურსის ცვალებადობისა და შესაბამისად ინფლაციის რეალური მაჩვენებლის ზრდა, როგორც სამომხმარებლო ფასების ინდექსის, ისე მომწოდებლების ფასების ინდექსის მხრივ, იწვევს გაურკვევლობას და აქედან გამომდინარე რისკებს.

დამატებით რისკ ფაქტორებს მიეკუთვნება ასევე, პროფესიული საქმიანობისას წარმოშობილი დავები და ფინანსური სანქციები, კომპანიის ოპერირებას თან ახლავს რეპუტაციის რისკი, მაღალი დონის სამედიცინო პერსონალის დენადობის რისკი და მათი სწრაფად ჩანაცვლების შესაძლებლობის რისკი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის რაოდენობაზე.

აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს ასევე კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა, თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა, სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევის და რეაგირების პოლიტიკა, პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შესანარჩუნებლად. სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 16 მაისს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

ნინო კეკენაძე

Nino
Kekenadze
01010000486



Digitally signed
by Nino
Kekenadze
Date: 2024.05.16
11:54:53